ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2278703

ნომერი: AR1351925

თარიღი : 26.10.2015

გაცემის თარიღი : 04.11.2015

გაცნობის თარიღი : 04.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცხვედაძე , N 40(40ა) / ქალაქი თბილისი , ცხვედაძის ქ. N40 (40ა)-ს მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ლორთქიფანიძე პ/ნ 01008013818
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 35 ბ. 50

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1351450 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქ. ოთარ ლორთქიფანიძემ (თანაგანმცხადებელი ზვიად მექვაბიშვილი) 26.10.2015 წ. #AR1351925 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1351450 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 30.06.2014 წ. #1351450 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ქუჩა ცხვედაძის #40 (40ა)-ს

მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 842 კვ.მ.; საკადასტრო კოდი #01.14.11.048.025) დაბალი ინტენსივობის 5 ბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დადგენილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებელი მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: #01.14.11.048.034, ფართობი: 1006 კვ.მ.), რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ შეცვლილია საკადასტრო ერთეულის მონაცემები.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 30.06.2014 წ. #1351450 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1351450 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საკასტრო კოდი დაფიქსირდეს: 01.14.11.048.034, ფართობი: 1006 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1351450 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: #01.14.11.048.034, ფართობი: 1006 კვ.მ. რეგისტრაციის #882015449532, მომზადების თარიღი: 11.08.2015 წ.);
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1351450 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: – მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=1.0;
4. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1351450 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს დანატებითი დოკუმენტაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის #3995 (08.10.15.) განკარგულება და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი #42 (17.09.15.);
5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.06.2014 წ. #1351450 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.